

ლელა ნებიერიძე

ეთნომედიცინის საკითხისათვის იმერეთში „უჟმური“

იმერეთში, საველე მუშაობის დროს, ჩვენი ყურადღება მიიქცია დაავადებამ, რომელიც იხსენიება „უჟმურის“ სახელწოდებით. ეს დაავადება ცნობილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და თავისი სპეციფიკური ბუნებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და იწვევს მკვლევართა შორის. პირველ რიგში, წარმოვადგენთ ჩვენს მიერ მოძიებულ მასალას, დაჯგუფებულს თემატური პრინციპით, დაავადების მიზეზებისა და მიმდინარეობის სტადიების მიხედვით, შემდეგ კი ვეცდებით პარალელები გავავლოთ საქართველოს სხვა რეგიონებში მოპოვებულ მსგავს მასალასთან.

დაავადების სიმპტომები: მაღალი სიცხე, ოფლიანობა: „მოყოლილი“ იგივე უჟმურია, იცის მაღალი სიცხე არავითარი წამალი არ უდგება, არაფერი არ სტკივა, ავადმყოფს ოფლი მოსდის დიდი რაოდენობით, სუნიანი, მაგრამ სიცხე არ უკლებს“ (საქარა). გულყრა: „მეითენთებოდა, გულყრა იცოდა, მოწყდებოდა, მუხლები გამეცვლებოდა“ (სვირი). ავადმყოფს ზოგჯერ ანუხებს სისუსტე, მოსხლეტვა, მთქნარება, ჰალუცინაციები: „ერთიანად მოწყვეტილია, საერთოდ ვერ დგება ფეხზე, მოლანდებებიც იცის, ფეხის ხმა ესმის, თითქოს ვილაცეები დადიან სახლში და ამ დროს არავინ არ არის. აძიგძიგებს, ელანდებათ და ამიტომ ეძახიან უჟმურს. ელანდებათ დაჯღანული ძაღლები, კატები.“ ფსიქიური მოვლენები, ბოდვები: ერთ-ერთი მთხრობელი უჟურით დაავადებულის შესახებ ასეთ ინფორმაციას გვანვდის: „გაგიჟდა და ენყო მოჩვენებები: მომდევნო, წყალში მაგდებნო. ძილის დროს, ძილში დააწყებინებდა ბოდვას და მისცემდა მაღალ სიცხეს. იტყოდა: „ძალი მომდევს, ცხენი მომდევს, დანებით მომდევნ“ ანდა საცხა ვარდება, ვითომ ხრამში ვარდება. ძალიან მაღალი სიცხე იცის. ამას სხვა ავადმყოფობებთან, ფილტვებთან და გაციებასთან არავითარი კავშირი არა აქვს“ (ძირულა). შეშუპება: „ზოგს სახე გაუსივდება, ზოგს – ხელი, აციებთ, აკანკალებთ“ (ცხუნკური).

უჟმურის შეყრის ადგილი. უჟმურის შეყრა დაკავშირებულია „უცხო“ ადგილზე ყოფნასთან, „უცხო“ წყალში შესვლასთან, ან მიწაზე წოლასთან: „სადმე წავიდოდა და დაჯდებოდა, იქიდან მოყვებოდა“ (კვალითი); „თუ უცხო კაცი უცხო მდინარეში შევა,

შეიძლება იქიდან მოყვეს. უცხო ადგილიდან შეიძლება მოგყვეს, იქიდან, სადაც პირველად გაივლი“ (სვირი).

უჟმურის შეყრის დრო: ინფორმატორები, უმრავლეს შემთხვევაში, ადასტურებენ, რომ უჟმურის შეყრის დრო სალამო ჟამია, მზის ჩასვლის შემდგომი პერიოდი ან ღამე: „ღამე პატარა ბავშვის გაყვანა არ შეიძლებოდა არც მელოგინე ქალი უნდა გასულიყო გარეთ, უჟმური რომ არ აჰყოლოდა. ბავშვის სარეცხიც მზის ჩასვლამდე უნდა შემოგვეტანა სახლში, რომ უჟმური არ შემოჰყოლოდა“. როგორც ჩანს, განსაკუთრებით მეძუძური ქალები უნდა გაფრთხილებულიყვნენ: „ძმის ცოლი პირველ ბავშვზე რომ მორჩა, გარეთ გამოვიდა ღამე და რომ შემოვიდა ბოღვა დაიწყო, მოსხლტა, შემოჰყვა უჟმური“ (ჩხარი). საინტერესოა, რომ არსებობს მითითებებიც, რომელთა მიხედვითაც უჟმურის შეყრის დრო მზის ამოსვლამდე ჟამია, ადრე დილა: „უჟმურმა აყოლა უფრო დილის საათებში იცის, მზის ამოსვლამდე, სადმე უცხო ადგილას, ან მდინარეში; მდინარის პირას, ტყის პირას ან ვინმეს ეზოში“ (საზანო).

წლის დრო. უჟმურით დასაავადებლად განსაკუთრებით საშიშ თვედ ნოემბერი ყოფილა მიჩნეული: „ნოემბერი ჭინკების თვეა. ჩამოსულა ჭინკა, ნოემბერში დაბადებულს ეძახის და ის არ უნდა გავიდეს. თუ მაინცდამაინც გასვლა მოუხდება, თმა უნდა ჩაიდოს და ისე გავიდეს“.

უჟმურის გამომწვევი მიზეზები. იმერლები უჟმურის გამომწვევ მიზეზად ხშირად შიშს ასახელებენ: „უჟმურს შიშსაც ვეძახით. გვეიდოდი ეზოში წყლის მოსატანად, იმნუთშივე წამომყვებოდა შიში“. ზოგჯერ კი უჟმურის შეყრას ბოროტ სულელებს, ალებს, ჭინკებს უკავშირებენ: „უჟმური ქალია, განენილი თმებით და თეთრი სამოსით. მთაში, ტყეში, მდინარესთან არის ნაძრახი ადგილი – „დაუჟმურდას“ ეძახიან. აქ უჟმური იყო წყალში, ეშმაკიო, ქაჯებსაც ეძახიან, ადამიანს აუჟმურებსო. იმის გავლილზე რომ გაგეარა, დაუჟმურდებოდი“. განსაკუთრებით უფრთხოდნენ ღამე სახლში უცხო ადამიანის შესვლას. ეშინოდათ, უჟმური არ შემოჰყოლოდა: „თუ გვიან ღამე ოჯახში შევიდოდა ვინმე, ჩვილი ბავშვის პატრონი ასანთს გაკრავდა, ან ცეცხლზე ბუმბულს დაწვავდა და იტყოდა: „წყეულიც არის იმის თავი (ეშმაკის, უჟმურის), უკან გაბრუნდი“ (სვირი).

პროფილაქტიკა. როგორც აღვნიშნეთ, უჟმურის გამომწვევ მიზეზად, ბოროტი სული მიაჩნიათ, ამიტომ მისგან თავის დაცვა მაგიური რიტუალის საშუალებით ხდება: „ადგომისას უნდა თქვა: ღმერთო მიშველეო. თან პატარა დანა უნდა გქონდეს და

იმ ადგილას გაუსვა, სადაც იჯექი, ან უნდა დააფურთხო რომ არ წამოგყვეს „უჟმური“. თუ პირველად მიდიან უცხო ადგილას, მდინარის პირას ან ტყეში, მიაქვთ დანა, ასანთი. მიწაზე დანას დაუსვამენ ან ცეცხლს დაანთებენ. საინტერესოა, რომ იმერეთში უჟმურის პროფილაქტიკისთვის იყენებენ მცენარეს, რომელსაც უჟმურის ბალახს ეძახიან, რაც იშვიათადაა ამ დაავადების შესახებ არსებულ მასალებში აღნიშნული: „უჟმურის ბალახია მწვანე ბალახა“, სრესენ, თან ლოცულობენ. ბალახის წვენს უსვამენ თავზე, ხელებზე, რომ არ დაუჟმურდნენ. განსაკუთრებით მელოგინე და ფეხმძიმე ქალებს უფრთხილდებიან.

მკურნალობა. უჟმურის მკურნალობა, ისევე როგორც პროფილაქტიკა, მაგიური ხასიათისაა. ხალხის რწმენით, უჟმური თერაპიულ მკურნალობას არ ემორჩილება: „რანაირი წამალიც არ უნდა მისცე, სიცხე არ უვარდება, მარტო ლოცვა ჭრის“ (საქარა). თუ მიმართავდნენ თერაპიულ მკურნალობას, მას თან მაგიური რიტუალიც ახლდა.

შელოცვები. თუ ადამიანს შეატყობენ დაუჟმურებას, აიღებენ 9 სხვადასხვა ჯიშის მარცვალს „9 თავ კაკლეულობას“: ლობიოს, ძაძას, სიმინდს, ხორბალს, კვახის გულს, ნახშირს, შაქარს და შეულოცავენ. თუ ლოცვის დროს ხელში იგრძნობენ მარცვლეულის მოძრაობას – „ხვარხვალს“ ე.ი. კაცი დაუჟმურებულია. გააგრძელებენ ლოცვას, შემდეგ მარცვლებს იმ ადგილას დაყრინან, საიდანაც „უჟმური ამოყვა“; „აღმასის თვალს“ წყალში გაავლებენ და დაალევიან რომ არ შემოჰყვეს რამე გარეთ რომ გავა“. ულოცავენ ასე:

„მონახდომო დედიანო,
მონახდომო მამიანო,
დღისით ხარ მონახდომი,
მაინც მონახდომი ხარ.
ღამით ხარ მონახდომი,
მაინც მონახდომი ხარ“.

როგორც აღვნიშნეთ, ხალხის წარმოდგენით, უჟმური განსაკუთრებით საშიშია მეძუძური ქალებისათვის და მათ ხშირად „აჰყვებათ“. ამ შემთხვევაში მლოცავი აიღებს წმინდა კბილიან სავარცხელს, ძუძუზე დაუსვამს და ამ ლოცვით ჩამოულოცავს:

„უჟმურო დედიანო,
უჟმურო მამიანო,
შენი დედა ტირის,

შენი მამა ტირის,
 საით წავიდა,
 საით დაგვეკარგაო.
 აქანა რა გინდა,
 აქანა შენი დედა არ არის,
 შენი მამა არ არის.
 ნურც გააციებ,
 ნურც გააცხელებ,
 ამას გამოეყარე,
 სხვას შეეყარე.
 აქანე მექადებიან
 ანით, ბანით,
 შავტარიანი დანით.
 ფეხით გკიდებენ ოჯინჯალაზე,
 ქვევიდან ცეცხლს გინთებენ.
 გასწი, გასწი, აქედან გასწი.
 თუ არა, ასი კატა მყავს,
 ასი ძაღლი მყავს.
 დაგვიჯავენ, დაგქიჩავენ,
 მიუსიანებდნენ ძაღლს“.

ყურადღებას მივაქცევთ, რომ ზემოთ მოყვანილ შელოცვებში ერთმანეთს ენაცვლება უფმურის ორი სახელწოდება: საკუთრივ „უფმური“ და „მონახდომი“.

უფმურის მკურნალობის აღწერისას მეტად საინტერესოა XIX ს. მასალები. კერძოდ, აი რას მოგვითხრობს მ. მაშურკო: „იმერეთში თუ ადამიანი „მოყოლილით“ (უფმურით - ლ.ნ.) გახდებოდა ავად, მოიყვანდნენ 9 ქალს, რომლებიც სთხოვდნენ ავადმყოფს მიეთითებინა ის ადგილი, სადაც იგი ავად გახდომამდე იმყოფებოდა. შემდეგ პურის ფქვილისაგან გამოაცხობდნენ 3-4 პატარა ხაჭაპურს, ადამიანის პატარა ფიგურას, – „ზერანს“ – იმდენს, რამდენ ადგილზედაც მიუთითებდა ავადმყოფი. თეფშზე დაყრიდნენ სხვადასხვა მარცვლეულს: ლობიოს, სიმინდს, ქერს, ხორბალს, ქინძის თესლსა და ა.შ. დაუმატებდნენ ნაცარს და ერთმანეთში აურევდნენ, შემდეგ თეფშიდან მუჭით აიღებდნენ ამ მარცვლეულს, სამჯერ შემოავლებდნენ ავადმყოფს და ისევ თეფშზე დაყრიდნენ; მარცვლიან ხელს წაუსვამდნენ ზურგზე, მკერდზე; მარცვალს დააყრიდნენ ხელებზე, ფეხებზე, თითებზე. შემდეგ მიმართავდნენ ავ სულს (ბოროტ ძალას): „წადი აქედან, წადი იქ, საიდანაც მოხვედი – ტყეში, წყალში, მიწაში. რატომ აწვალე (ავადმყოფის სახელი). ამას აკეთებდა ცხრავე

ქალი სათითაოდ. შემდეგ ავადმყოფს თავზე მარცვლეულიან თევფს მოავლებდნენ, რომელზედაც ზემოდან „ზერანი“ იდო და „უჟმურის“ ნაცვლად იტყოდნენ: „აი ჩვენ მივდივართ“ და ცხრავე ერთად წავიდოდა. წაიღებდნენ მარცვლიან თევფს, „ზერანს“, დოქით ღვინოს; დადებდნენ მინაზე ავადმყოფის მიერ მითითებულ ადგილას, რომ ვინმეს წაელო და ავადმყოფობაც გაეყოლებინა. თან იქვე დაყრიდნენ თითო პეშვ მარცვალს და მიმართავდნენ ბოროტ სულს: „ეს თქვენ, ვინაც მანდა ხართ“. ბოლოს კი უბრძანებენ წარმოსახვით ეშმაკს: – „აი თქვენ ხაჭაპური და ღვინო, ჭამეთ და სვითო“¹.

ასეთ ცნობებს გვანჯდის უჟმურის შესახებ იმერეთში მოპოვებული თანამედროვე და ძველი ეთნოგრაფიული მასალა.

საინტერესოა, რა მიმართებაშია ეს ცნობები საქართველოს სხვა რეგიონებში მოძიებულ მასალასთან. განვიხილოთ აღნიშნული მონაცემები საერთო კონტექსტში.

უპირველეს ყოვლისა, შევჩერდებით დაავადების სახელწოდებაზე. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში „უჟმურთან“ ერთად გვხვდება მისი შემდეგი სინონიმები: „მოყოლილი“, „აყოლილი“, „ამოყოლილი“, „მონადები“, „უჟმური“, „მუნაჟამა“, „მოჟამილი“, „ნალანდი“, „მოფეთებული“, „შენახვედრი“, „მოფურჩხნული“, „დახელნაკრაულები“². ჩამოთვლილი სახელებიდან როგორც აღვნიშნეთ, იმერეთში უმეტესად დასტურდება „მონადები“, „მონახდომი“, „ნალანდი“, „მოფეთებული“, „მოყოლილი“ და „უჟმური“. უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია ეს სახელწოდებები ერთი შეხედვით მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი საბოლოოდ დადიან სამ ძირითად მნიშვნელობაზე: პირველი და ყველაზე გავრცელებულია „უჟმური“. დღეისათვის მიჩნეულია, რომ ეს სახელწოდება ასახავს ამ დაავადების შეყრის დროს: „უჟმური“, უჟამო, უჟამური, ჟამუქონელი, ანუ უდრო დრო, სიბნელე გვიანი ღამე³. სახელწოდებები: „მონადები“, „მოყოლილი“, „მონახდომი“ მიგვითითებს, რომ უჟმური შეიძლება ადამიანს „მოედოს“, „მოყვეს“ უცხო და ცუდი ადგილიდან. ხოლო სახელწოდებები:

¹ Машурко М., Из области народной фантазии и быта Тифлисской и Кутаисской губернии. СМОПСК, ЧМШШШШ, 1844

² ლ. ფიფია, მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან (ნაჟამა), ისტორიულ - ეთნოგრაფიული შტუდიები, თბილისი, 1988, გვ. 116-117.

³ ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2000, გვ. 128-129.

„ნალანდი“, „მოფეთებული“ უჟმურის შეყრას ავი სულეების, ჭინკებისა თუ ალის შეხვედრას, „მოფეთებას“ უკავშირებს.

უჟმურის შეყრის სამი ვარიანტი, რომლებიც ამ დაავადების სახელწოდებებშია ასახული ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და არ კვეთს. ამრიგად, ამ დაავადების სახელწოდებებისა და ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი და იგივე დაავადება ადამიანს შეიძლება სამი გზით შეხვდეს: 1) უცხო ადგილიდან აყოლით. 2) „ცუდ დროს“ (სალამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ღამე ან დილით, მზის ამოსვლამდე) გარეთ გასვლით. 3) ჭინკების, ალის მოლანდებით.

დასტურდება ხალხური წარმოდგენა, რომლის მიხედვით უჟმური ავი სულეების ერთ-ერთი სპეციფიკური სახეა – „გომბეშოს მსგავსი ლორწოვანი მასაა, რომელსაც უნებლიე მოძრაობის უნარი აქვს“⁴. საინტერესოა გ. ჩიტაიას ცნობა, რომლის თანახმად სვანეთში, სადაც უჟმურის კულტი არსებობდა, ოჯახებში უჟმურის ქანდაკება ინახებოდა, რომელთანაც სხვადასხვა შესაწირავი მიჰქონდათ.

ისმის კითხვა: რომელი დაავადება უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ უჟმურის ქვეშ? მეცნიერთა ერთი ნაწილი უჟმურს ციებად მიიჩნევს, ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ სამეგრელოში უჟმურის გამომწვევად ციების ავი სული მიაჩნდათ⁵. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც ციებით ნაკლებად ავადდებოდნენ, უჟმურთან ბავშვთა სხვა დაავადებებსაც აიგივებდნენ“⁶. ამასვე ადასტურებს სამეგრელოში მოძიებული მასალაც, რომლის მიხედვითაც ეს დაავადება შეიძლება ადამიანს „ბინძური“ წყლიდან აჰყვეს, ჩრდილში ან ნესტიან ადგილზე წოლისაგან; ან, შეიძლება, უჟმურის მიზეზი, ცუდი, ჭაობიანი ადგილის ჰაერი იყოს. სამეგრელოში დასტურდება აგრეთვე შეხედულება, რომლის მიხედვით „ნაჟამა მიცვალებულთა სულია“⁷ და სხვ. ჩვენს მიერ იმ-

⁴ სახოკია თ., სამეგრელოს მითოლოგიიდან, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 14; Чурсин Г. Ф., Почетание огня на Кавказе, Кавказ, 1902, № 12; Мамаладзе Т., Народные обычаи и поверья Гурийцев, СМОМПК

⁵ ნ. რუხაძე, თბილისი, 1917

⁶ ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, გვ. 128

⁷ ლ. ფიფია, მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან (ნაჟამა), გვ. 116-117

ერეთში მოძიებული მასალაც გვაძლევს საშუალებას, რომ „უჟმური“ ერთმნიშვნელოვნად ციებასთან არ გავაიგივოთ. მაგალითად, ის ფაქტი, რომ უჟმურს ახასიათებს ჰალუცინაციები, ბოდვები და სხვა „უცნაური“ მოვლენები, ხანდახან მაღალი ტემპერატურის გარეშეც კი, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა რაიმე ციებისაგან განსხვავებულ რაიმე დაავადებასთან გვეკონდეს საქმე. ამ მიმართებით, საინტერესოა ნ.კაკუშაძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც უჟმურის შეყრა დაკავშირებულია ადამიანის ბიო-ენერგეტიკული ველის ცვლილებასთან ელექტრული მუხტების საშუალებით. განსაკუთრებით ეს ეხება უცხო ადამიანის მიერ ბავშვის „დაუჟმურებას“. სწორედ ამიტომ, შელოცვის დროს იყენებდნენ დანას (რკინას), წყალსა და ნახშირს, როგორც ელექტრული განმუხტვის საშუალებებს⁸. რა თქმა უნდა ამ მოსაზრებას შეიძლება ჰქონდეს თავისი საფუძველი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შავტარიანი დანა, წყალი და ნახშირი სხვა სახის დაავადებებთან დაკავშირებულ მაგიურ რიტუალებშიც გამოიყენება და მხოლოდ უჟმურის მკურნალობას არ უკავშირდება. ბასრი საგნები, წყალი და ცეცხლი, რომლის სიმბოლოცაა ნახშირი, უნივერსალურ დამცავ და გამწმენდ საშუალებათა რიგს განეკუთვნება. „მუნაჟამას“, იგივე „უჟმურის“ სამკურნალო საინტერესო რიტუალი აღწერილი აქვს ს. მაკალათიას. იგი აღნიშნავს: „მუნაჟამა“. მიწაზე ნაწილად ადამიანს თუ შეამცივნა, მას შეულოცავენ „მუნაჟამა“-ს. შემლოცველი აიღებს „მოჟამილი“-ს დაცდილის ქამარს და მუჭაში კი დაიჭერს ნაცარს და იტყვის: „ანასაო, ნანასაო, ნანა თემურაზსაო, სი ურია, სი ურჯულო, სერით გიაბურდღინუქი. დღაშით კოჩი ვარძირუნსი, ფუი თეშ განქარ მოჟამოლი“-ა (ანასაო, ნანასაო, ნანა თემურაზსაო, შე ურია, შე ურჯულო, ღამე დაბურტყუნობ, დღისით კაცი ვერ გიპოვნის, ფუი ასე გააქარვე მოჟამილი-ო).

დასასრულს შემლოცავი თვალხუჭულა და ზურგშექცევით მივა სახლის კარებთან და ამ ნაცარს კარებს მიაცრის. თუ ნაცარი კარს მოეკიდა, ავადმყოფი მოჟამილია, თუ არა და ნაცარი ძირს ჩამოცვივაო. ძალსაც კარში გაახტუნებენ – „ჟამს“ წაიღებსო. ზოგან ამ მიზნით კატას კარში გააგდებდნენ.⁹

⁸ ნ. კაკუშაძე, უჟმურის საიდუმლო, საქართველოს ქალი, თბ, 1964, №4

⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ, 1941, გვ. 346.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უყმურით დაავადებულ ბავშვს პერანგს გახდიდნენ, დაწვავდნენ – უყმური დაინვებო; ან ავადმყოფს ნახშირით პირჯვარს გადასწერდნენ, ნახშირს უბეში ჩაუყრიდნენ და შეულოცავდნენ:

„უყმური მოდიოდა,
შუალამის ბინდისას,
დაუხვდა დედა მარიამი,
სად მიდიხარ უყმურო?
ბაღლები საშინებლადა,
დედ-მამის სატირებლადა,
ბაღლებს ვინ გატირებინებს,
დაგცემენ შავტარა დანასა,
გადმოგიგდებენ შანასა,
ფუი, წმინდა გიორგიმ დაგწყევლოს,
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა“.

ეს შელოცვა საინტერესოა იმით, რომ მასში აღნიშნულია დაავადების შეყრის დრო – შუალამე, ე.ი. ავსულის აქტიურების ხანი; დაავადების ზემოქმედების ობიექტი – ბავშვი და ჩამოთვლილია მკურნალობის საშუალებები – შავტარიანი დანა და შანა. შელოცვას აძლიერებს ქრისტიანული ფორმულა – „წმ. გიორგიმ დაგწყევლოს“ და სხვა¹⁰. უყმურის შელოცვის საინტერესოა წესი აქვს დადასტურებული რ. ხაჭაპურიძეს: შელოცვა ხდება თანმხლები საგნების მეშვეობით. ოკრიბაში ამას ზენარს, იგივე ზერანს უწოდებენ. მლოცველთა თქმით ამისათვის საჭიროა: ცხრა ღობის ჩხირი, ცხრა წყაროს წყალი, ცხრა გვარის ქალი, ცხრა გლეხის კაკლოულობა. ამ ცხრა გვარის ქალებმა ყველამ ლოცვა უნდა იცოდეს.

„უყმურო, უყმურისაო,
გადმოვარდნილო ციდანო,
გამოდი, გამოეყარე
ბრძანება არის ხვთისაო“.

შელოცვის შემდეგ გამოყენებული, ზემოთ ჩვენს მიერ დასახელებული საგნები უნდა გაიტანო და დაყარო გზაჯვარედინზე. შემობრუნდები წალმა და იტყვი: საიდანაც მოსული იყო, იქიდან წაბრძანდი. პურის ცომისაგან გააკეთებ სხვადასხვა ფიგურებს

¹⁰ ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, გვ. 188.

და დატოვებ იმ ადგილას, სადაც ეს ყველაფერი უნდა დატოვო. დატოვებ აგრეთვე ამ მლოცველთა მიერ გაბმულ ძაფებს და ნიგვზის ნაჭუჭში ჩასხმულ ღვინოს. უნდა დაილოცო, შესთხოვო მოფურჩხვის ღვთაებას ავადმყოფის განკურნება, დატოვო ეს ყველაფერი, შემობრუნდე წალმა და წამოხვიდე¹¹.

საგულისხმოა, რომ იმერეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, უფმური თერაპიულ მკურნალობას არ ექვემდებარება. „რანაირი წამალიც არ უნდა მისცე, სიცხე არ უვარდება, მარტო „ლოცვა ჭრის“. მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად, პროფილაქტიკისთვის გამოიყენებოდა მცენარეც: „ბალახი იყო უფმურის, მწვანე ბალახა“. სამეგრელოში დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით იყენებდნენ მცენარე ბეჟანას ფოთლების ქაფს, რომლითაც ავადმყოფს უზელავდნენ შუბლს, ხელს და ფეხის გულებს. როცა გაიგებდნენ რომ ადამიანი „დაჟამული“ იყო, ბეჟანას ფოთლებს მოსწყვეტდნენ, გასრესავდნენ, ჯერ თავზე შემოავლებდნენ, შემდეგ შუბლზე, ხელის გულზე და ფეხის გულზე წაუსვამდნენ: „დაჟამული სულს მოითქვამდა“¹². როგორც ვხედავთ, იმერეთისა და სამეგრელოს მასალა ამ შემთხვევაში იდენტურია: – ბალახის გასრესვა, ავადმყოფის შუბლის, ხელების და ფეხების დაზღვევა. ამრიგად, შესაძლებელია, რომ იმერეთში იმავე სახის მცენარეს იყენებდნენ უფმურის სამკურნალოდ, როგორც სამეგრელოში. ტ. მამალაძის მონაცემებით, გურიაში „უფმურის წამლად“ იყენებდნენ მოყვითალო ფერის სითხეს, რომელსაც ებრაელი მეწვრილმანები ყიდდნენ. გაზეთ „დროებაში“ უფმურის შესახებ გამოქვეყნებულია სტატია, რომლის ავტორია ქუთაისის მკვიდრი გვარად კანდელაკი. იგი აღწერს უფმურთან დაკავშირებულ მაგიურ ქმედებებს, რომლებიც საკუთარ თავზე გამოუცდია და უფმურის წამლის დამზადების წესს: „ლოცვის შემდეგ, წერს ავტორი, მოიტანა (ექიმბაშმა – ნ.მ.) გვიმრის და ანწლის ძირი, თუთის და ვაშლის ტყავი, იის ფოთოლი, ჯამზედ დაყარა, წყალში ამოავლო, წყალი გაათბო, ცოტა ლილა და შაბი გაურია და ეს შეზავებული წამალი ძალით დამალევინეს. მაშინათვე პირიდან მასაქმებინა და კინალამ საიქიოს არ წავედი,

¹¹ რ. ხაჭაპურიძე, სამკურნალო ხასიათის შელოცვები ოკრიბაში, მათი შესრულების ტრადიცია ოკრიბაში, ქართველური მეცნიერება, II, 1998, გვ. 323.

¹² ლ. ფიფია, მასალების სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან (ნაჟამა), გვ. 117-118.

მაგრამ ექიმმა კი სიხარულით სთქვა: ეხლა მორჩა აგი ბოვშვი, სტორეთ ეშმაკი ამოვადებინე პირიდანო“¹³. ამ შემთხვევაში ექიმბაში, იყენებდა თავის მიერ დამზადებულ წამალს ავადმყოფის სხეულიდან დაავადების გამომწვევი ავი სულის გამოსადევნად ღებინების გზით. უჟმურის მკურნალობისას აჭარაში იუენებდნენ ორთქლსაც: „ბავშვს თუ უჟმური აჰყვა და ავად გახდა, მაშინ მოაგროვებენ სხვადასხვა ფოთლებს და ავადმყოფს უხრჩოლავენ. ამ ბალახების ნახარში წყლით ტანსაც ბანდნენ“¹⁴. უჟმურის პროფილაქტიკისას საინტერესოა იმერეთის მასალებში დადასტურებული მიწაზე დანის გასმა და დაფურთხება იმ ადგილზე, სადაც ადამიანი იჯდა, რომ უჟმური არ წამოჰყოლოდა. მსგავსი ჩვეულება დადასტურებულია მესხეთში, აჭარასა და ლეჩხუმში, სადაც „მონადების მიწაზე დაფურთხება და მოსერვა (წრის შემოხაზვა) იცოდნენ“¹⁵. ამრიგად, იმერეთში „უჟმური“ დღესაც რჩება ერთ-ერთ გავრცელებულ დაავადებად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში, უჟმურს აიგივებენ ციებასთან. ეს მოსაზრება გასაზიარებელია და საფუძვლიანადაა დასაბუთებული. ამავე დროს, აშკარაა, რომ უჟმური ციების გარდა გულისხმობს სხვა სნეულებას ან სნეულებებსაც, რომელთა იდენტიფიკაცია ოფიციალურ მედიცინაში ცნობილ დაავადებებთან მოითხოვს შემდგომ დეტალურ კვლევას, ეთნოლოგებისა და მედიკოსების ერთობლივ მუშაობას.

¹³ ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა, გვ. 111-112.

¹⁴ ჯ. ნოლაიდელი, მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან, გვ. 119.

¹⁵ ლ. ფიფია, მასალების სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან (ნაჟამა), გვ. 119.

Лела Небиеридзе

О вопросе этномедицины в Имеретии

“Ужмури”

Резюме

Под названием “Ужмури” в народном быте Имеретии подразумевается болезнь психо-неврологического характера, с различными проявлениями, такими как: высокая температура, бред, слабость и т.п. Обычно “Ужмури” отождествляется с малярией, столь распространенной в прошлом в Западной Грузии. В статье на основе полево-этнографического материала собранного в регионе Западной Грузии, в частности Имеретии, детально рассмотрены симптоматические и профилактические стороны этого заболевания. Установлено, что “Ужмури” подразумевает и другие болезни, уточнение которых требует дополнительного исследования.